

ხინალულური ენის ადგილის განსაზღვრისათვის დაღესტნურ ენათა შორის¹

ავტორი: რ. ლოლუა

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენეთმეცნიერების ინსტიტუტი

ელფოსტა: roman.lolua@tsu.ge

ანოტაცია

ხინალულური ენის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი განსხვავებული თვალსაზრისი გვხვდება: ზოგიერთი მკვლევრის (რ. ერკერტი, ჟ. დიუმეზილი, ე. ბოკარევი, ბ. თალიბოვი, გ. კლიმოვი, ა. კიბრიკი, ს. კოდასოვი, ი. ოლოვიანიკოვა, ბ. გიგინეიშვილი, ალ. მაჰომეტოვი, გ. თოფურია, ფ. განიევა, მ. ქურდიანი და სხვა) აზრით, ხინალულური ენა ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფში შედის, ხოლო როგორც სხვები (ნ. ტრუბეცკოი, რ. ლაფონი, რ. შაუმიანი, ი. დეშერიევი, მ. ალექსეევი, ვ. შულცე და სხვა) მიიჩნევენ, ხინალულური ქმნის ცალკე ქვეჯგუფს დაღესტნურ (ან ნახურ-დაღესტნურ) ენათა შორის.

ხინალულურ ენას მრავალი თავისებურება ახასიათებს, რომელიც განსაკუთრებით მორფოლოგიისა და ლექსიკის კუთხით ვლინდება. ამასთან, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი გვიჩვენებს, რომ ხინალულური არ წარმოქმნილა საერთოლეზგიური ფუძე-ენის დაშლის შედეგად. რაც შეეხება ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებას, რომლის თანახმად ხინალულური წინარელეზგიური ერთობიდან არჩიბულისა და უდიურის შემდეგ გავიდა, ის მხოლოდ *ბ > *ჭ ფონეტიკურ პროცესს ეფუძნება. საფიქრებელია, რომ ეს პროცესი ხინალულურსა და ლეზგიურ ენებში პარალელურად განვითარდა.

საკვანძო სიტყვები: ხინალულური ენა, დაღესტნური ენები, კომპარატივისტიკა

შესავალი

ხინალულური ენის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი გვხვდება: ზოგიერთი მკვლევრის (რ. ერკერტი, ჟ. დიუმეზილი, ე. ბოკარევი, ბ. თალიბოვი, გ. კლიმოვი, ა. კიბრიკი, ს. კოდასოვი, ი. ოლოვიანიკოვა, ბ. გიგინეიშვილი, ალ. მაჰომეტოვი, გ. თოფურია, ფ. განიევა, მ. ქურდიანი და სხვა) აზრით, ხინალულური ენა ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფში შედის, ხოლო როგორც სხვა სპეციალისტები (ნ. ტრუბეცკოი, რ. ლაფონი, რ. შაუმიანი, ი. დეშერიევი, მ. ალექსეევი, ვ. შულცე და სხვა) მიიჩნევენ, ხინალულური ქმნის ცალკე ქვეჯგუფს დაღესტნურ (ან ნახურ-დაღესტნურ) ენათა შორის. თბილისურ კავკასიოლოგიურ სკოლაში გაბატონებული იყო პირველი მოსაზრება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ამ საკითხს მხოლოდ ბ. გიგინეიშვილმა დაუთმო თავის შემაჯამებელ მონოგრაფიაში “დაღესტნურ ენათა შედარებითი ფონეტიკა” (გიგინეიშვილი 1977: 154-157).

თუ არ ჩავთვლით ადრეულ კლასიფიკაციებს, რომლებიც უფრო გეოგრაფიულ პრინციპებს ეფუძნებოდა, პირველი ენობრივი ფაქტების გაანალიზების შედეგად გამოთქმული თვალსაზრისი ეკუთვნის რ. შაუმიანს. მკვლევრის მოსაზრებით,

“ზუღუხური და კრიწული ენები იმდენად ახლოა ლეზგიურთან, რომ ისინი რუთულურის, წახურის, აღულურისა და სხვათა გვერდით შეგვიძლია მივიჩნიოთ ლეზგიური ჯგუფის თანასწორ ენებად, ხოლო რაც შეეხება ხინალულურ ენას, ის თავის გრამატიკულ თავისებურებათა და ლექსიკის მიხედვით იკავებს დამოუკიდებელ ადგილს დაღესტნის იაფეტურ ენათა შორის” (შაუმიანი 1940: 163).

ი. დემერიევი, რომელსაც ხინალულური ენის პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა ეკუთვნის, ამ საკითხის შესახებ სამ ვარაუდს გვთავაზობს: 1. ხინალულური ენა ლეზგიურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება, ოღონდ მას შემონახული აქვს ისეთი არქაული თავისებურებები, რომელიც არ გვხვდება ამ ქვეჯგუფის სხვა ენებში; 2. ხინალულური ენა ქმნის ცალკეულ ქვეჯგუფს დაღესტნურ ენათა შორის, თუმცა მან ლეზგიურ ენათა დიდი ზეგავლენა განიცადა²; 3. ხინალულური ენა არის რა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა არქაული ჯგუფის ერთადერთი შემორჩენილი წარმომადგენელი, იკავებს განსაკუთრებულ ადგილს დაღესტნურ, ნახურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა შორის, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში დაღესტნურ ენათა ზეგავლენას განიცდის (დემერიევი 1959: 207).

ხინალულური ენის ადგილის განსაზღვრის საკითხს მონათესავე ენათა შორის მიემდვნა ბ. თალიბოვის სპეციალური გამოკვლევა. მკვლევრის აზრით, “...ხინალულური ენა – ეს ლეზგიური ჯგუფის ერთ-ერთი ენათაგანია, რომელიც გამოეყო ფუძე-ენას რამდენიმე ათასი წლის წინ და დამოუკიდებლად განვითარდა მონათესავე ენებთან კავშირის გარეშე; აღნიშნულ ჯგუფში ის იკავებს განსაკუთრებულ ადგილს” (თალიბოვი 1959: 304).

ბ. თალიბოვი ცდილობს დაამტკიცოს ხინალულური ენის ნათესაობა სხვა ლეზგიურ ენებთან, მათ შორის ბგერათშესატყვისობათა და ლექსიკური შეხვედრების წარმოჩენით. თუმცა, თუ რამდენიმე ლექსიკურ შეპირისპირებას არ ჩავთვლით, მკვლევარმა ვერ წარმოადგინა ისეთი მასალა, რომელიც სხვა დაღესტნურ ენებთან შედარებით ცხადად გვიჩვენებდა ხინალულური ენის უფრო დიდ სიახლოვეს ლეზგიურ ენებთან.

ძირითადი ნაწილი

ბ. თალიბოვის აზრით, “საერთოლეზგიური ფუძე-ენის დაშლა დაიწყო ხინალულური ენის განცალკევებით” (თალიბოვი 1980: 16). ბ. გიგინეიშვილი კი მიიჩნევს, რომ ხინალულური საერთოლეზგიურს არჩიბულისა და უდიური ენების შემდეგ გამოეყო (გიგინეიშვილი 1977: 154). ბ. გიგინეიშვილის მოსაზრება ძირითადად ლეზგიურ ენებში განვითარებულ *ზ > *ჟ პროცესს ეფუძვნება: საერთოდაღესტნურმა *ზ ბგერამ ლეზგიურ ენებში (და ხინალულურში) ანლაუტში უმახვილო ხმოვნების წინ მოგვცა *ჟ, თუმცა უდიურსა და არჩიბულში ეს პროცესი არ შეინიშნება (გიგინეიშვილი 1977: 154), შდრ.:

(1) ანდ. ბორწი: ახვ. ბოწო: დიდ. ბუცი: დარგ. ბამ (ურახ., აჯუმ.) || ბაც: (წუდ.): ლაკ. ბარზ (< *ბარზ): არჩ. ბაც: კავკ.-ალბ. ბუზე: ლეზგ. ჟარმ (< *ჟარმ): თაბ. ჟამ: აღ. ჟაზ: რუთ. ჟაზ: წახ. ჟაზ: ხინ. ჟაწ “მთვარე”, “თვე”;

(2) დიდ. ბელო: ჰინ. ბოლჰო: ლაკ. ბურკ: არჩ. ბოლჰ: ლეზგ. ჟაქ: წახ. ჟოქ: უდ. ბოყ “ლორი” (აგრეთვე: კრიწ. ჟაქ: ბუდ. ჟექ);

(3) ხუნდ. ბ- (III კლასის ნიშანი): ანდ. ბ-: ახვ. ბ-: დიდ. ბ-: დარგ. ბ-: ლაკ. ბ- (რელიქტის სახით ასევე ფ): არჩ. ბ-: ლეზგ. ჟ/ზ (რელიქტი): თაბ. ჟ (რელიქტი)/ზ-: აღ. ჟ/ზ (რელიქტი):

რუთ. ჟ/ზ (რელიქტი): წახ. ჟ/ზ (რელიქტი): უდ. ზ (რელიქტი): ხინ. ჟ-/ზ-/ფ- (ფ- ყრუ თანხმოვნების წინ) (გიგინეიშვილი 1977: 75)...

პირველისაგან განსხვავებით, შეუძლებელია დავეთანხმოთ ბ. გიგინეიშვილის მეორე არგუმენტს: მკვლევრის აზრით, საერთოლექსიკონში არჩიბულისა და უდიურის გამოყოფის შემდეგ ასევე ანლაუტში უმახვილო ხმოვნების წინ **დ** ფონემამ დენტალური სპირანტი მოგვცა (***დ** > ***ჯ**; შემდგომში ***ჯ** > ***ზ**), რომელიც, როგორც ბ. გიგინეიშვილი მიიჩნევს, ხინალულურშიც მოხდა (გიგინეიშვილი 1977: 154). უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვარაუდი ფაქტობრივად ერთ მაგალითზეა დაფუძნებული:³

(4) ხუნძ. დუ-ნ: ანდ. დე-ნ: ახვ. დე-ნე: დიდ. დი: ხვარშ. და: დარგ. დი (ირიბი ბრ. ფუძე): ლაკ. თუ (ირიბი ბრ. ფუძე): ლეზგ. ზუ-ნ: თაბ. იზუ: ად. ზუ-ნ: რუთ. ზგ: წახ. ზგ: ხინ. ზგ: არჩ. ზონ: უდ. ზუ⁴ “მე”.

ივ. ჯავახიშვილი ლეზგიურ ენათა I პირის ნაცვალსახელებს მხოლოდობითში ნახურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა ანალოგიურ ფორმებს უკავშირებს და მათ კავშირს ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ და ლაკურ-დარგულ ენათა შესაბამის ნაცვალსახელებთან უარყოფს (ჯავახიშვილი 1937: 569-560). არნ. ჩიქობავა კი ლეზგიურ ენათა I პირის ნაცვალსახელებს ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენების ფორმათაგან მომდინარედ მიიჩნევს, თუმცა, ბ. გიგინეიშვილისაგან განსხვავებით, ***დ** > ***ძ** > ***ზ** პროცესს ვარაუდობს (ჩიქობავა 1942: 38).

როგორც აღინიშნა, ***დ** > ***ზ** შესაძლო პროცესს რეგულარული ხასიათი არ აქვს და, ამას გარდა, ჩვენთვის არც ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა **დ** ბგერის დაკავშირება ლეზგიურ ენათა **ზ** ბგერასთან წარმოდგენილ მაგალითში არის ცხადი.

მ. ალექსეევი ხინალულური ენის ადგილის განსაზღვრის საკითხს თვისტომ ენათა შორის სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა: მ. ალექსეევი, რ. შაუმიანის, ი. დემერიევისა და სხვა მკვლევართა მსგავსად, მიიჩნევს, რომ ხინალულური ქმნის ცალკე ქვეჯგუფს ნახურ-დაღესტნურ ენათა შორის. ეს დებულება, მ. ალექსეევის აზრით, დასტურდება სხვადასხვა ენობრივი იერარქიის – ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის დონეზე. განსაკუთრებულ ყურადღებას მკვლევარი ლექსიკოსტატისტიკურ მონაცემებს ანიჭებს.

მ. ალექსეევი მიგვითითებს ორ ფონეტიკურ პროცესზე, რომლითაც, მისი აზრით, ხინალულური ლეზგიურ ენებს უპირისპირდება, ესენია:

საერთოდაღესტნური მჟღერი აფრიკატების ცვლილება, სადაც, ავტორის თქმით, “ხინალულური ინარჩუნებს აბრუპტიულობას, რითაც უფრო უახლოვდება, მაგალითად, ხუნძურს” (ალექსეევი 1984: 89), ხოლო მეორეში: “ლეზგიურ ენებში განვითარებული სუსტი აფრიკატების სპირანტიზაციის მიუხედავად, ხინალულური ინარჩუნებს ამოსავალ თანხმოვანს” (ალექსეევი 1984: 89).

ვერ გავიზიარებთ მ. ალექსეევის მიერ წარმოდგენილ ვერც ერთ არგუმენტს: პირველი ფონეტიკური პროცესის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ აქ საერთოდაღესტნურ დონეზე აღდგება არა აბრუპტიული აფრიკატები, არამედ მჟღერი. ხუნძურ-ანდიურ ენებში საერთოდაღესტნურმა მჟღერმა აფრიკატებმა (ლატერალური რიგის გამოკლებით) მოგვცეს ორ-ორი კანონზომიერი რეფლექსი, სახელდობრ – მჟღერი სპირანტი და ინტენსიური აბრუპტიული აფრიკატი, რომლებიც პოზიციურად არ არის შეპირობებული. ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებით, ეს მეტყველებს მათი თავისუფალი მონაცვლეობის შესახებ უკვე საერთო-ხუნძურ-ანდიურ ფუძე-ენაში (გიგინეიშვილი 1977: 83):

(5) ხუნძ. მოწი: ანდ. ბორწი: ახვ. ბოწო: დიდ. ბუცი: დარგ. ბამ (ურახ., აკუმ.) || ბაც (წუდ.): ლაკ. ბარზ (< *ბარგზ): არჩ. ბაც: კავკ.-ალბ. ბუზე: ლეზგ. ჟარმ (< *ჟარგმ): თაბ. ჟამ: ად. ჟაზ: რუთ. ჟაზ: წახ. ჟაზ: ხინ. ჟაწ “მთვარე”, “თვე”;

(6) ხუნძ. მიჭა: ანდ. მიჭი: ახვ. მიწი: დიდ. მეჩა: დარგ. ნიმ: ლაკ. მიჭ: არჩ. მარ: ლეზგ. მიჯ (“საკვები ბალახეული”): ად. მაჯარ: კრიწ. მეჯ: ხინ. მგჭ “ჭინჭარი”;

(7) ხუნძ. ბაყ: დიდ. ბუჯ: ლაკ. ბარლ: არჩ. ბარჯ: ლეზგ. რალ (< *ჟირალ): თაბ. რიდ || რიდ‘ი: ად. რალ: რუთ. ჟირგლ: წახ. ჟირგლ: კრიწ. ჟირალ: უდ. ბელ: ხინ. გნყ “მზე”... შდრ.:

(8) ხუნძ. ზაზ: ახვ. ჟაჟა: დარგ. ძანძი (ურახ., აკუმ.) || ცაცე (წუდ.): ლაკ. ცაც (< *ცაზ): ლეზგ. ცამ: თაბ. ძამა: ად. ზაზ: რუთ. ზინა “ეკალი”;

(9) ხუნძ. ბე-ჟ-იხე: ანდ. ბე-ჟ-იდუ: ახვ. ბი-ჟ-ურ-ულა: ლაკ. ჩუჩა-ინ: არჩ. ბა-ჩ-რ-ას: ლეზგ. ჩ-ურ-უნ: თაბ. ურჯ-უს (< *უ-ჯრ-უს) ად. უ-ჯ-ას: წახ. ჰე-ჯ-ეს “მეწვა”, “ხრაკვა”;

(10) ხუნძ. ღეჟ: ანდ. ღაჟუ: ახვ. ღენჩა: ლაკ. ჯაჭ (< *ჯაჭ): არჩ. ჯუნ: ლეზგ. ჯუნ: თაბ. ღუნ: რუთ. ღგნ: “მხარი”...

საყურადღებოა, რომ დიდოური ენები ამ შესატყვისობათა ფორმულებში სუსტი ფშვინვიერი აფრიკატებითაა წარმოდგენილი. ეს, ჩვენი აზრით, არ გვიტოვებს საშუალებას, რომ საერთოდადესტნური მჟღერი აფრიკატების შესატყვისად საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ დონეზეც კი ინტენსიური აბრუპტიული აფრიკატები აღვადგინოთ. აქედან გამომდინარე, საუბარი იმის შესახებ, რომ ხინალულურმა ამ ბგერათშესატყვისობათა ფორმულაში “შეინარჩუნა” აბრუპტიული თანხმოვანი, ჩვენი აზრით, არაკორექტულია. ამას გარდა, გასათვალისწინებელია, რომ ხუნძურ-ანდიურ ენებში გვაქვს ინტენსიური აბრუპტივი, ხოლო ხინალულურში – სუსტი. ამდენად, რელევანტურ ფონეტიკურ პროცესთან მაინც არ გვაქვს საქმე.

ვერ გავიზიარებთ მ. ალექსეევის მიერ შემოთავაზებულ მეორე არგუმენტსაც. მ. ალექსეევის აზრით, ხინალულური ლეზგიურ ენათაგან განსხვავებით, რომლებშიც საერთოდადესტნურ სუსტ აფრიკატთა სპირანტიზაცია განვითარდა, ინარჩუნებს ამოსავალ თანხმოვანს (ალექსეევი 1984: 89).

მკვლევარი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ლეზგიურ ენებში საერთოდადესტნური სუსტი აბრუპტიული აფრიკატები, როგორც წესი, უცვლელადაა შემონახული, ხოლო ფშვინვიერმა სუსტმა აფრიკატებმა, გარდა არჩიზულისა და უდიურისა, მოგვცა ორ-ორი პოზიციურად შეპირობებული რეფლექსი: სპირანტიზაცია მოხდა მხოლოდ ანლაუტში, ხოლო დანარჩენ პოზიციებში ამოსავალი თანხმოვანი შენარჩუნებულია; არჩიზულსა და უდიურში კი საერთოდადესტნური სუსტი ფშვინვიერი აფრიკატები ყველა პოზიციაში გადავიდნენ სპირანტებში (გიგინეიშვილი 1977: 88):

(11) ხუნძ. ოც: ანდ. უნსო: ტინდ. მუსა: ახვ. უწა: დიდ. ის: დარგ. უნც: ლაკ. ნიც: არჩ. ანს: ლეზგ. დაც: თაბ. დაც: ად. დეც: რუთ. დაც: წახ. დაც: უდ. უს “ხარი”;

(12) ხუნძ. ჭეჩ: ანდ. უნჩი: ახვ. ჭეჭე (< ხუნძ.): დიდ. ჰენეშ: დარგ. ჭინც: ლაკ. ჰიჭჩ: არჩ. აწშ: ლეზგ. იჩ: თაბ. ჟიჩ: ად. ჰაჩ: რუთ. აჩ: წახ. ეჩ: კრიწ. დეჩ: უდ. ეშ: ხინ. მგჩ “ვამლი”...

გვიქრობთ, რომ საერთოდადესტნურ სუსტ ფშვინვიერ აფრიკატთა სპირანტიზაცია არჩიზულში, უდიურსა და იმ ლეზგიურ ენებში, რომლებიც საერთოსამურული ერთობის დამლის შედეგად წარმოიქმნა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარდა.

სამართლიანი ჩანს მ. ალექსეევის სხვა შენიშვნები: მ. ალექსეევი მიმართავს ხინალულური ენის მორფოლოგიური ინვენტარის შედარება-შეპირისპირებას საერთოლუზიურ რეკონსტრუქციებთან (ალექსეევი 1984: 89-91). ძირითადი ყურადღება ამ მხრივ სახელის მორფოლოგიას, სახელდობრ, ბრუნების ინვენტარს დაეთმო.

საერთოლუზიური ბრუნების ინვენტარის რეკონსტრუქცია განხორციელდა ე. ბოკარევის მიერ (ბოკარევი 1960) და იგი გარკვეული შენიშვნებით მიიღო მ. ალექსეევი. უნდა აღინიშნოს, რომ თავად მ. ალექსეევის აზრით, “არქაიზმია თუ ინოვაცია საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მოითხოვს უფრო ფართო კვლევას” (ალექსეევი 1985: 24). საერთოლუზიური რეკონსტრუქციები ძირითადად საერთოსამურული ერთობის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ენების ჩვენებას ეფუძნება; ასე, მაგალითად, ირიბი ფუძის ოთხივე ტიპის რეკონსტრუქცია მხოლოდ ლუზიური, თაბასარანული, ალუღური, რუთულურისა და წახური ენების მონაცემებს ეყრდნობა (ალექსეევი 1985: 27-28). არადა, გასათვალისწინებელია, რომ საერთოსამურული მხოლოდ ერთია ოთხი ან სამი (თუ ხინალულურს ლუზიურ ენად არ მივიჩნევთ) ერთეულიდან, რომელიც საერთოლუზიური ერთობის დაშლის შედეგად წარმოიქმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის ხაზი გაესვა ხინალულური ენის ზმნის მორფოლოგიის მსგავსებას დანარჩენი ლუზიური ენებთან: ასე, მაგალითად, ა. მაჰომეტოვის აზრით, ხინალულური ენის კლასიფიკატორთა სისტემა თავსდება ლუზიური ენების გრამატიკულ კლასთა საერთო სისტემაში (მაჰომეტოვი 1976: 232-259). ქ. ქერიმოვი თავის მონოგრაფიაში, რომელიც ხინალულურ ზმნას ეძღვნება, აღნიშნავს ხინალულური ენის ზმნის მორფოლოგიის მსგავსებას ლუზიური ენებთან. ეს, მკვლევრის აზრით, “კავკასიოლოგიაში დამკვიდრებული ტრადიციის სასარგებლოდ მეტყველებს, რომელიც ხინალულურს ლუზიურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნებს” (ქერიმოვი 1985: 177). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომები უფრო ტიპოლოგიურსა ან ფორმობრივ მსგავსებას ეყრდნობა და არ აღადგენს მორფოლოგიური ინვენტარის არქეტიპებს.

მ. ალექსეევი განიხილავს ბ. თალიბოვის მიერ მოყვანილ ხინალულურ-ლუზიურ ლექსიკურ პარალელებს. მისი აზრით, როგორც წესი, წარმოდგენილია საერთოდადესტურული მასალა, ხოლო იმ ლექსიკას, რომელიც ლუზიური ჯგუფის გარეთ არ დასტურდება, როგორც მ. ალექსეევი მიიჩნევს, აქვს არეალური ხასიათი, მაგ.:

(13) ლუზგ. ზუ-ნ: თაბ. იზუ || უზუ: აღ. ზუ-ნ: რუთ. ზგ: წახ. ზგ: კრიწ. ზგნ: ბუდ. ზგნ: ხინ. ზგ: არჩ. ზონ: უდ. ზუ: კავკ.-ალბ. ზუ “მე”, შდრ. ხუნძ. დუ-ნ: ანდ. დე-ნ: ახვ. დე-ნე: დიდ. დი: ხვარშ. და: დარგ. ნუ: ლაკ. ნა “id”;

(14) ლუზგ. ჭუ-ნ: თაბ. იჭუ || უჭუ: აღ. ჭუ-ნ: რუთ. ჭგ: წახ. ჭუ: კრიწ. ჭგნ: ბუდ. ჭგნ: ხინ. ჭგ: არჩ. უნ: უდ. უნ: კავკ.-ალბ. ვუნ “მენ”, შდრ. ხუნძ. მუ-ნ: ლაკ. ინა “id”;

(15) ლუზგ. სა-: თაბ. სა-: აღ. სა-: რუთ. სა-: წახ. სა-: კრიწ. სნ-: ბუდ. სა-: ხინ. სა: არჩ. ოს: უდ. სა: კავკ.-ალბ. სა “ერთი”, შდრ. ხუნძ. ცო: ახვ. ჩე: დარგ. ცა: ლაკ. ცა “id”...

მ. ალექსეევი თავისი თვალსაზრისის დასაბუთებისათვის იყენებს ლინგვოსტატისტიკურ მონაცემებსაც და ამის მიხედვით ლუზიურ ენათა დაშლის სქემასაც გვთავაზობს (ალექსეევი 1984: 91-92). მკვლევრის დათვლით, ხინალულური ენის საერთო საბაზისო ლექსიკის პროცენტი ლუზიურ ენებთან ჩამორჩება ანალოგიურ

მაჩვენებლებს ლაკურსა და ხუნძურთან, რომელთა მონაცემებიც აგრეთვე მოყვანილია ამ კვლევაში.

მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს გარკვეული შენიშვნები მ. ალექსეევის მიერ ჩატარებულ კვლევასთან (იხ. ალექსეევი 1985: 18-23), მაინც ვფიქრობთ, რომ მიღებული შედეგები მრავლისმეტყველია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, რომ საერთოლექსიურში არჩიულისა და უდიურის გამოყოფამდე სულ სამად-სამი ფონეტიკური ცვლილება განხორციელდა, რომელთაგან ორი ლატერალთა სერიაში მოხდა: როგორც ბ. გიგინეიშვილი ვარაუდობს, არაინტენსიურმა ლატერალურმა აფრიკატებმა არაინტენსიური უკანაენისმიერი ხშულ-მსკდომები მოგვცა (*ლ' > *ქ; *ლ' > *კ), ხოლო პოსტველარული ფარინგალიზებული აბრუპტიული ხშულ-მსკდომი არაინტენსიური გლოტალური უვულარული აფრიკატით შეიცვალა (*ყ' > *ყ) (გიგინეიშვილი 1977: 151). საერთოლექსიურიდან არჩიულისა და უდიურის გამოყოფის შემდეგ კი ხინალულურის განცალკევებამდე ანლაუტში უმახვილო ხმოვნების წინ *ბ > *ჟ და *დ > *ტ > *ზ პროცესები განვითარდა (გიგინეიშვილი 1977: 154; ამის შესახებ იხ. ზემოთ). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ხინალულური ენის ადგილის განსაზღვრისათვის მონათესავე ენათა შორის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთოდადესტნურ *ლ', *ლ' და *ყ' ბგერების ხინალულურ შესატყვისებს.

*ლ' – სუსტი ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატია, რომელიც შემდეგი რეფლექსებით არის წარმოდგენილი დადესტნურ ენებში:

ლეზგ. წ: თაბ. წ: აღ. წ: რუთ. წ: წახ. წ: კრიწ. ჭ (< *წ)?; ბუდ. ღ?: არჩ. შ (< *წ)?; უდ. ღ/
ბ: ხინ. ქ; შდრ. ხუნძ. ლ': ანდ. ლ': ახვ. ლ': დიდ. ლ': დარგ. ქ: ლაკ. წ:

(16) ლეზგ. დიჭ (< *დიწჟ): თაბ. დიშ (< *დიწჟ): აღ. ჰჟშ (< *ჰჟწ): რუთ. ჟგშ (< *ჟგწ):
წახ. გწა: კრიწ. დიჭ (< *დიწჟ): ბუდ. დჟჟუზ: არჩ. იშ (< იწ): უდ. შუ (< *უბ < *უწ) “ღამე”;
შდრ. აგრეთვე: ხუნძ. რელ'ედა “საღამო”: ახვ. რელ'ა “ღამე”;

(17) ლეზგ. წ-უნ: თაბ. წ-უზ: აღ. წ-ას: წახ. წ-ეს “გახდომა”, “გაკეთება”, შდრ.
აგრეთვე: ხუნძ. ლ'-იზე: ანდ. ლ'-იდუ: დიდ. ლ'-ა: დარგ. ი-ქ-ის (მეშველი ზმნა): ლაკ. წ-უნ
“id”;

(18) თაბ. შიბ (< *წიბ): რუთ. წაბ, წიბგლ: წახ. წგწნა: უდ. მუხ “ფრჩხილი”, შდრ.
აგრეთვე: ხუნძ. მალ': ანდ. მულ': ახვ. მილ': დიდ. მოლ': დარგ. ნიქტა (ურახ.) || მიქა
(კუბარ.): ლაკ. მიწ “id”...

როგორც აღინიშნა, ბ. გიგინეიშვილი საერთოლექსიურისათვის *ლ' > *ქ პროცესს ვარაუდობს (გიგინეიშვილი 1977: 151), თუმცა ლეზგიურ ენათა ფაქტობრივი მონაცემები ამას მხარს არ უჭერს. ქ ბგერა, როგორც საერთოდადესტნური *ლ'-ს შესატყვისი, სინქრონიულ დონეზე ლეზგიურ ენებში არ დასტურდება. ბ. გიგინეიშვილი *ლ' ბგერის კონონზომიერ რეფლექსად ხინალულურში ქ ბგერას მიიჩნევს (გიგინეიშვილი 1977: 94), ხოლო ეს ვარაუდი მხოლოდ ერთ მაგალითზეა დაფუძნებული (ქ-ირი “გახდომა”). ამასთან, სწორედ ხინალულური ენის ჩვენებას დიდწილად ემყარება *ლ' > *ქ პროცესის რეკონსტრუქცია საერთოლექსიურისათვის.

ზმნა ქირი ხინალულურში ოდენ “კეთებას” აღნიშნავს (განიევა 2002: 153-154), ხოლო “გახდომის” მნიშვნელობით დავადასტურეთ ყი ზმნა, რომლის თანხმოდანაც საერთოდადესტნურ ლ' ბგერას არ შეესატყვისება. ამრიგად, ხინალულური შესატყვისი უპირსპირდება ლეზგიურ ენებში დადასტურებულ წ ბგერას.

***ლ** – სუსტი აბრუპტიული ლატერალური აფრიკატია, რომელიც შემდეგი რეფლექსებით არის წარმოდგენილი დადესტნურ ენებში:

არჩ. კ: ლეზგ. ყ: თაბ. კ: აღ. კ: რუთ. ყ: წახ. კ: კრიწ. ყ: ბუდ. ყ: უდ. მ/ყ: ხინ. კ: შდრ. ხუნძ. ტ (ჰიდური დიალ. ლ): ანდ. ლ: ახვ. ლ: დიდ. ლ: დარგ. კ: ლაკ. კ:

(19) ლეზგ. ყილ (< *ტიყილ): თაბ. კულ: აღ. კილ: რუთ. ყულ (იხრ. ჰუყულ < *ტუყულ): წახ. ტუკულ: კრიწ. ყგლ, ყალი: ბუდ. ყგლ: უდ. ბულ (< *ბუყულ): კავკ.-ალბ. ბულ (< *ბუყულ): ხინ. მიკირ (< *ტიკირ) “თავი”, კილ “თავთავი”, შდრ. აგრეთვე: ხუნძ. ბეტერ: დარგ. ბიკ (ურახ.) || ბეკ (აჯუმ.): ლაკ. ბაკ “თავი”...

(20) ლეზგ. ყელე-ჭ: თაბ. ჭილ-ლი (< *კილ-ლი): აღ. კილე-: რუთ. ყგლ-: წახ. კიჭა: არჩ. კალა-: უდ. ყაჭ: ხინ. კერ “წვრილი”, შდრ. აგრეთვე: ხუნძ. ტერ-ენ-: ანდ. ბე-ლერა: ახვ. ბა-ლარო: დარგ. ბუ-კულა-: ლაკ. კულა- “id”;

(21) თაბ. კან: აღ. კენ: რუთ. ყან: წახ. კან: კრიწ. ყან: არჩ. ყან: უდ. ოყნ: ხინ. კი-ჩ “ძირი”, შდრ. აგრეთვე: ხუნძ. ტინო: ანდ. ჰინლუ: ლაკ. ჭან (< *კან) “id”...

აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ ამ ბგერათშესატყვისობის ფორმულაში ლეზგიური, რუთულური, კრიწული და ბუდუხური ყ ბგერით არის წარმოდგენილი, უდიური – მ/ყ, ხოლო ხინალულურში საერთოდადესტნურ *ლ-ს, ზოგიერთი ლეზგიური ენის (თაბასარანული, აღულური, წახური, არჩიბული) მსგავსად, შესატყვისება კ.

როგორც აღინიშნა, ბ. გიგინეიშვილი საერთოლეზგიურისათვის *ლ > *კ პროცესს ვარაუდობს (გიგინეიშვილი 1977: 151), რასაც ვერ გავიზიარებთ. თუ ამ პროცესს მართლაც ჰქონდა ადგილი საერთოლეზგიურში, მაშინ რატომ არ დაემთხვა ლეზგიურ ენებში ერთმანეთს საერთოდადესტნური *ლ-სა და *კ-ს რეფლექსები? შდრ.: საერთოდადესტნური *კ > ლეზგ. კ: თაბ. კ: აღ. კ: რუთ. კ: წახ. კ: კრიწ. კ: ბუდ. კ: არჩ. კ: უდ. კ: ხინ. კ /გ: (იხ. გიგინეიშვილი 1977: 81-82; ბოკარევი 1981: 65; შდრ. თალიბოვი 1980: 288-290). ვფიქრობთ, რომ საერთოდადესტნური *ლ საერთოლეზგიურში გადავიდა კ-საგან განსხვავებულ სუსტ ველარულ აბრუპტიულ აფრიკატში (პირობითად – *კ₁), რომელმაც შემდგომ ორი განსხვავებული კორესპონდენცია მოგვცა ლეზგიურ ენებში (კ და ყ). სისტემის სიმეტრიულობის თვალსაზრისით ლოგიკურია, რომ *ლ > *კ₁ პროცესის პარალელურად *ლ > *ქ₁ პროცესიც ვივარაუდოთ.

ტ. გუდავა ანდიურ ენებში ინტენსიურ წინაველარულ აფრიკატებს გამოყოფს (ქ, კ) (გუდავა 1964: 75-81; 141-142). ბ. გიგინეიშვილი საერთოდადესტნურისათვის წინაველარული აფრიკატების ხუთეულს ვარაუდობს, თუმცა, მისი აზრით, ამ ხუთეულის მქდერი და სუსტი წევრები საერთოდადესტნური ფუძე-ენის დაშლამდე ხშულ-მსკდომებს შეერწყა (გიგინეიშვილი 1970: 189). რაც შეეხება ინტენსიურ წინაველარულ აფრიკატებს: ბ. გიგინეიშვილმა მოახდინა ფშვინვიერი აფრიკატის რეკონსტრუქცია საერთოდადესტნურ დონეზე (გიგინეიშვილი 1977: 97-98), ხოლო აბრუპტივის აღდგენა მხოლოდ საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ დონეზე მოხერხდა (გიგინეიშვილი 1977: 111-113).

ბ. თალიბოვი (თალიბოვი 1980: 310-311) და ე. ბოკარევი (ბოკარევი 1981: 83-84) საერთოლეზგიურისათვის *ლ ფონემას ვარაუდობენ. ვფიქრობთ, რომ არ გვაქვს არანაირი საფუძველი, რომ დავუშვათ ამ ბგერის არსებობა საერთოლეზგიურ ფუძე-ენაში; იხ. ბგერათშესატყვისობათა ფორმულა, რომლის მიხედვით ბ. თალიბოვი და ე. ბოკარევი აღადგენენ ამ ბგერას:

ლეზგ. ყ: თაბ. ყ, ჭ: აღ. კ: რუთ. ყ: წახ. კ [/ ყ: კრიწ. ყ: ბუდ. ყ: არჩ. კ: უდ. Ø / ყ: ხინ. კ (აღსანიშნავია, რომ ბ. თალიზოვი ვარაუდობს ლ-ს რეფლექსს ყ ბგერის სახით წახურში, თუმცა ის არც მის მიერ წარმოდგენილ მასალაში არ ჩანს და არც ე. ბოკარევის ფორმულაში გვხვდება).

ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ ამ ბგერამ ცვლილება განიცადა ჯერ კიდევ არჩიზულის გამოყოფამდე და, ამდენად, მისი პოსტულირება საერთოლეზგიური ფუძე-ენისათვის მხოლოდ ჰიპოთეტურადაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ კ შესატყვისი ლაკურსა და დარგულშიც გვხვდება. ეს გვაძლევს საფუძველს, რომ *ლ > *კ პროცესის დაწყება ვივარაუდოთ ჯერ კიდევ საერთოდადესტნურ დონეზე საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ფუძე-ენის გამოყოფის შემდეგ.

რომ დავუშვათ *ლ ბგერის არსებობა საერთოლეზგიურში, მაშინ ამ ბგერის პოსტულირება უნდა მოხდეს აღმოსავლურ-სამურულ და დასავლურ-სამურული ერთობისათვის. ეს ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ბგერის ინტენსიური ვარიანტი საერთოსამურული ერთობის დაშლამდე გადავიდა ინტენსიურ წინაველარულ აფრიკატში კ (სავარაუდოდ), რაც დასტურდება *ლ რეფლექსაციით ლეზგიურ ენებში: ლეზგ. ქ/კ: თაბ. ქ: აღ. ქ: რუთ. გ/ > ჯ (< ქ): წახ. გ/ ქ: კრიწ. ქ: ბუდ. ქ: უდ. ყ: ხინ. კ/ ქ, შდრ. ბ. გიგინეიშვილის მიერ სხვა ინტენსიურთა ანალოგიის ნავარაუდევ *კ-ს რეფლექსებს ლეზგიურ ენებში: თაბ. ქ: აღ. ქ: რუთ. გ/ქ: წახ. გ/ქ: უდ. კ: ხინ. კ (გიგინეიშვილი 1977: 111). ასევე საყურადღებოა, რომ არჩიზული ლ ხუნძურ-ანდიურ ენებში შეესატყვისება როგორც ანალოგიურ თანხმოვანს, ისე კ ბგერას, რომელიც საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ *კ-ს უდრის.

დადესტნურ ენათა შორის შეინიშნება ერთი “ანომალური” ბგერათშესატყვისობა, რომელიც ბ. გიგინეიშვილს უკანაველარული ფარინგალიზებული ხშულ-მსკდომის (*ყ) პოსტულირების საშუალებას აძლევს:

(22) ხუნძ. შინკ: ანდ. ჰინკუ: ახვ. ინკოტი: ხვარშ. აყტე: ლაკ. კულუ: არჩ. ნოყონ: ლეზგ. ყიჭ: თაბ. ყულ: აღ. ცულ: რუთ. ყულ: წახ. ყოტ: კრიწ. ყალ: ბუდ. ყალ: ხინ. ნუკურ “თაგვი”;

(23) ხუნძ. კი-: ბოთლ. კე-: ახვ. კე-: დიდ. ყა-: დარგ. კი-: ლაკ. კი-: არჩ. ყტე-: ლეზგ. ყტე-: თაბ. ყრ-: აღ. კა-: რუთ. ყტე-: წახ. ყო-: კრიწ. ყტა-: ბუდ. ყა-: უდ. პა (< *ყტა): ხინ. კუ “ორი”...

საერთოლეზგიურში ერთმანეთს დაემთხვა საერთოდადესტნური *ყ და *ყ'-ს რეფლექსები. ეს იმით დასტურდება, რომ ყველა ლეზგიურ ენაში ეს ორი ფორმულა (ს.-დად. *ყ > ლეზგ. ყ: თაბ. ყ: აღ. ყ: რუთ. ყ: წახ. ყ: კრიწ. ყ: ბუდ. ყ: არჩ. ყ: უდ. Ø: ხინ. ყ: შდრ. ხუნძ. შ: ანდ. ყ: ახვ. ყ: დიდ. ყ: დარგ. ყ: ლაკ. ყ/ა⁵ და ს.-დად. *ყ' > ლეზგ. ყ: თაბ. ყ: აღ. ყ: რუთ. ყ: წახ. ყ: კრიწ. ყ: ბუდ. ყ: არჩ. ყ/ყ: უდ. ყ: ხინ. კ: შდრ. ხუნძ. კ/კ: ანდ. კ/კ: ახვ. კ/ქ: დიდ. ყ: დარგ. კ: ლაკ. კ⁶; შდრ. აგრეთვე: ს.-დად. *კ > ლეზგ. ყ: თაბ. ჭ: აღ. ჭ: რუთ. ყ/ჭ: წახ. ყ: არჩ. ყ: უდ. ყ: ხინ. ყ: ხუნძ. ყ: ანდ. ყ: ახვ. ყ: დიდ. ყ: დარგ. ყ || ლ: ლაკ. ყ⁷), განსხვავებით ხინალულური, ხუნძურ-ანდიური და ლაკურ-დარგული ენებისაგან, იდენტური კორესპონდენციებით არის წარმოდგენილი (არჩიზულში, ადულურსა და უდიურში დადასტურებული ყ: ყ, ყ: ყ: ყ: ყ და Ø: ყ აშკარა პოზიციურ ხასიათს ატარებს).

როგორც აღინიშნა, საერთოდადესტნური *ყ-სა და *ყ'-ს რეფლექსები, ლეზგიურ ენათაგან განსხვავებით, ხინალულურში არ არის იდენტური. ეს ეჭვქვეშ აყენებს ბ.

გიგინეიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ხინალულური ენა არჩიბულისა და უდიურის შემდეგ გამოეყო საერთოლეზგიურს.

დასკვნა

ამრიგად, ხინალულურ ენას მრავალი თავისებურება ახასიათებს, რომელიც განსაკუთრებით მორფოლოგიისა და ლექსიკის კუთხით ვლინდება. ამასთან, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი გვიჩვენებს, რომ ხინალულური არ წარმოქმნილა საერთოლეზგიური ფუძე-ენის დაშლის შედეგად. რაც შეეხება ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებას, რომლის თანახმად ხინალულური წინარელეზგიური ერთობიდან არჩიბულისა და უდიურის შემდეგ გავიდა, ის მხოლოდ *ბ > *ტ ფონეტიკურ პროცესს ეფუძნება. საფიქრებელია, რომ ეს პროცესი ხინალულურსა და ლეზგიურ ენებში პარალელურად განვითარდა.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № FR-24-10850).

² მოგვიანებით ი. დემერიევმა უპირატესობა მიანიჭა ამ თვალსაზრისს; იხ. მისი: “ის [ხინალულური ენა] იკავებს განსაკუთრებულ ადგილს დადესტნურ ენათა შორის. ჩვენ პირობითად მას ლეზგიურ ჯგუფს მივაკუთვნებთ” (დემერიევი 1967: 659).

³ ამის გარდა, ბ. გიგინეიშვილი ერთმანეთს უკავშირებს დ-კლასიფიკატორს, რომელიც დადასტურებულია ლაკურში, დაარგულსა და არჩიბულში, ხინალულური ენის ზ-კლასის ფორმანტთან (გიგინეიშვილი 1977: 76), რაც აგრეთვე საეჭვოდ გვეჩვენება.

⁴ ამ ნაცვალსახელის ფორმები არჩიბულსა და უდიურში ბ. გიგინეიშვილს არაკანონზომიერად მიაჩნია და, მკვლევრის აზრით, სხვა ლეზგიურ ენათაგან უნდა იყოს ნასესხები (გიგინეიშვილი 1977: 76).

⁵ მაგ., ლეზგ. ყულ: თაბ. ყულ: აღ. ყულ: რუთ. ყულ: წახ. ყულა: არჩ. ყულ „ფიცარი“; შდრ. ახვ. ყორი: დარგ. ურყული “id”; შდრ. აგრეთვე: დიდ. ყური „სკამი“...

⁶ ამ ფორმულის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ ამ ბგერის ორი ვარიანტის არსებობაც საერთოდადესტნურ ფუძე-ენაში (ინტენსიური და არაინტენსიური). ამის საფუძველს გვაძლევს ხუნძურ-ანდიურსა და არჩიბული ენის ჩვენებები. ასეთ შემთხვევაში, საერთოლეზგიურში სამი ბგერის რეფლექსები დაემთხვა: *ყ, *ყ' და *ყ'.

⁷ მაგ., ლეზგ. ყა-: თაბ. ჯა-: აღ. ჯა-: რუთ. ყა-: წახ. ყა-: კრიწ. ყა-: ბუდ. ყა-: არჩ. ყან: უდ. ყა: ხინ. ყან- „ოცი“; შდრ. ხუნძ. ყო-: ახვ. ყენ-დო-: დიდ. ჯუ-: დარგ. ღა-: ლაკ. ყუ- “id”

ლიტერატურა

ალექსევი 1984: Алексеев М. Е., К вопросу о классификации лезгинских языков, «Вопросы языкознания», Москва, 1984, №5.

ალექსევი 1985: Алексеев М. Е., Вопросы сравнительно-исторической грамматики лезгинских языков, Морфология, Синтаксис, Москва, 1985.

ბოკარევი 1960: Бокарев Е. А., К реконструкции падежной системы пралезгинского языка, «Вопросы грамматики», Сборник статей к 75-летию акад. И. И. Мещанинова, Москва-Ленинград, 1960.

ბოკარევი 1981: Бокарев Е. А., Сравнительно-историческая фонетика восточнокавказских языков, Москва, 1981.

განიევა 2002: Ганиева Ф. А., Хиналугско-русский словарь, Махачкала, 2002.

გიგინეიშვილი 1970: Гигинейшвили Б. К., Общедагестанская система взрывных согласных, Мацне, №4, Тбилиси, 1970.

გიგინეიშვილი 1977: Гигинейшвили Б. К., Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси, 1977.

გუდავა 1964: Гудава Т. Е., Консонантизм андийских языков (историко-сравнительный анализ), Тбилиси, 1964.

დეშერიევი 1959: Дешериев Ю. Д., Грамматика хиналугского языка, Москва, 1959.

დეშერიევი 1967: Дешериев Ю. Д., Хиналугский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-кавказские языки, Москва, 1967.

თალიბოვი 1959: Талибов Б. Б., Место хиналугского языка в системе языков лезгинской группы, Ученые записки ИИЯЛ, Москва, 1959.

თალიბოვი 1980: Талибов Б. Б., Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва, 1980.

მაჰომეტოვი 1976: Магомедов А. А., Система грамматических классов в хиналугском языке, ЕИКЯ, т. III, Тбилиси, 1976.

ქერიმოვი 1985: Керимов К. Р., Глагол хиналугского языка, Диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук, Махачкала, 1985.

შაუმიანი 1940: Шаумян Р. М., Яфетические языки «шахдагской подгруппы», «Язык и мышление», т. X, Москва-Ленинград, 1940.

ჩიქობავა 1942: არნ. ჩიქობავა, ხუნძური ენის ნაცვალსახელთა ბრუნებისათვის, “ენიმკის მოამბე”, ტ. XII, თბილისი, 1942.

ჯავახიშვილი 1937: ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937.